

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო  
საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 18

ხაშური

2018 წლის 30 ივლისი

14:00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ნატო კიკაძე, ჯონდო კაპანაძე,  
გურამ მაზიაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტები- მურმან  
ცენგერაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : თამაზ ლომიძე-ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის  
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი (მომხსენებელი საკითხზე).

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 6 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2018 წლის  
ექვთვეში გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს. თამაზ ლომიძე

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი  
წარმოდგენილი პროექტის სახით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით  
მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის  
თამაზ ლომიძის ინფორმაცია ამავე სამსახურის მიერ 2018 წლის პირველ ნახევარში გაწეული  
საქმიანობის შესახებ.

წარმოდგენილ საკითხზე მომხსენებელს კითხვები დაუსვეს: ანა ხარებავამ, ნატო  
კიკაძემ.

აზრი გამოთქვეს: ცოტნე ნოზაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის  
უფროსის თამაზ ლომიძის ინფორმაცია ამავე სამსახურის მიერ 2018 წლის პირველ ნახევარში  
გაწეული საქმიანობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

ინფორმაცია თან ერთვის

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის  
თავმჯდომარე ანა ხარებავა

